# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
# საგამოძიებო სამსახური

## ბრძანება N 106

06.11.2019

**ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ**

„სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „თ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის N790 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების" მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკურ დეპარტამენტს, მიმდინარე წლის 6-9 ნოემბერს ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

**2.** ხარჯები ანაზღაურდეს 2019 წლის წარმომადგენლობითი ხარჯების ფარგლებში.

**3.** ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

**4.** ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**5.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ერთი თვის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6).

**საფუძველი:** საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციის უფროსის 2019 წლის 6 ნოემბრის N15-02 – 5801 სამსახურებრივი ბარათი.

სოსო რამიშვილი

სამსახურის უფროსი